აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 6

30 ივნისი 2016 წელი **ქ. ბათუმი**

15⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდა: გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მაკა ლომაძე, ირაკლი გვარამია, შორენა ჭაღალიძე, კახაბერ ჯაიანი, ფიქრია აფაქიძე და ნუგზარ ბაჯელიძე.

არ ესწრებოდნენ: მამუკა ჯაში.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება
„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის 13 მარტის №1 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

3. განკარგულება
საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის, მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ;

5. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

6. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ გოლიაძემ და კახაბერ ჯაიანმა.

ზურაბ გოლიაძემ მოითხოვა, დღის წესრიგის პროექტით წარმოდგენილი მე-3 საკითხის (განკარგულება - „საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ“) დღის წესრიგის პროექტიდან ამოღება. მან აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია უახლოეს დღეებში უმაღლეს საბჭოში იგეგმება სესია და შესაძლებელია სესიაზე გატანილ იქნას საარჩევნო ოლქების საკითხი. მას მიაჩნია, რომ კომისია უნდა დაელოდოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს შეიტანოს ცვლილება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, კანონის შესაბამის მუხლში და ამის შემდეგ მოხდეს ხსენებული საკითხის კომისიის მიერ მიღება.
ზურაბ გოლიაძემ სხდომის თავმჯდომარეს სთხოვა, წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტიდან, მე-3 საკითხის, განკარგულება - „საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ“ დღის წესრიგის პროექტიდან ამოღების შესახებ კენჭისყრაზე დაყენება.

კახაბერ ჯაიანი დაეთანხმა ზურაბ გოლიაძის წინადადებას, დღის წესრიგის პროექტიდან, მე-3 საკითხის განკარგულება - „საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ“ ამოღების შესახებ.

სხდომაზე გამოცხადდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი - ირაკლი გვარამია.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა კომისიის წევრის, ზურაბ გოლიაძის, წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტიდან, მე-3 საკითხის (განკარგულება - „საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ“) ამოღების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 2;
წინააღმდეგი 10;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

კენჭისყრის შედეგად წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტიდან, მე-3 საკითხი განკარგულება - „საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ“ ამოღების შესახებ, არ იქნა მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	11;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ერთმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება
„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის 13 მარტის №1 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ;

2. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ;

3. განკარგულება
საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, 2016 წლის 8 ოქტომბრის, არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის, მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ;

5. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

1. დადგენილება

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის 13 მარტის №1 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის 13 მარტის №1

დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის 13 მარტის №1 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

დადგენილება მიღებულია:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის 13 მარტის №1 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 17/03/2014, 010220020.34.059.016016) მე-2 მუხლით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი 2-ის, მე-3 მუხლის, პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გაცემით დაინტერესებულმა მხარემ, ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება, რომელიც დარეგისტრირდება უსკოს აპარატის საერთო სამსახურში ან/და გააგზავნოს მოთხოვნა უსკოს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე info@sec.ge, დანართი 2.1-ით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად განცხადებაში მიეთითება: სახელი, გვარი (პირადი ნომერი ფიზიკური პირის შემთხვევაში), ორგანიზაციის დასახელება (იურიდიული პირის შემთხვევაში), საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, იურიდიული მისამართი, ელ. ფოსტის მისამართი, განცხადების შინაარსი“.

2. დანართი 2-ის, მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მოთხოვნილი ელექტრონული საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება, განცხადების უმაღლეს საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე (info@sec.ge) შემოსვლისა და მისი კანცელარიაში რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(თან ერთვის)

2. განკარგულება
ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი და უსკოს წერილობითი

თხოვნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ასევე წერილობით წარმოდგენილი ნარკოლოგიური სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთაგანაც, ერთერთს უსკოს გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის, ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭება.

აზრი გამოთქვეს: სხდომის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების მიერ, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, მოწოდებული, ნარკოლოგიური სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების ჩამონათვალიდან ერთხმად შერჩეული იქნა, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ნარკოლოგიური შემოწმების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 39-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 40-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 72-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 29/06/2016 წლის №05/1458 წერილის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებისათვის ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების უფლება მიენიჭოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტს, მისამართი: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102ა.

2. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიასთან ერთად უნდა წარუდგინოს ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯანმრთელია, ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

3. პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატის სააღრიცხვო ბარათთან და ფოტოსურათთან ერთად უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარდგენილი უნდა იქნას ცნობა კანდიდატის ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯანმრთელია, ან ნარკოტიკების მომხმარებელია.

4. კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების, პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეულმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატმა უნდა გაიაროს ნარკოლოგიური შემოწმება

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლის უფლება აქვთ, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ დაწესებულებაში.

6. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული დაწესებულება, კენჭისყრიდან არაუგვიანეს

მე-14 დღისა, ვალდებულია უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარმოადგინოს წინასწარი მონაცემებით საარჩევნო ზღურბლგადალახული პარტიების/საარჩევნო ბლოკების, პარტიული სიიდან სავარაუდოდ არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატის შესახებ ნარკოლოგიური შემოწმების დამადასტურებელი ცნობა, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ კანდიდატი ჯანმრთელია, ან ნარკოტიკების მომხმარებელია და უმაღლესი საბჭოს არჩეულ წევრთა სია, რომლებმაც გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება.

7. დაევალოთ:

ა) საერთო სამსახურს (ს. ჩოგაძეს) ამ განკარგულების პირველი მუხლით განსაზღვრული დაწესებულებისათვის დადგენილი წესების გაცნობა;

ბ) საორგანიზაციო სამსახურს (ლ. ჩავლეიშვილს) ამ განკარგულების საოლქო საარჩევნო კომისიებისათვის გაცნობა;

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. ნაკაშიძე) ამ განკარგულების საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნება.

8. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

9. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება
საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება ერთდროულად, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ 2015 წლის 23 დეკემბერის საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 110-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების და 110^1 მუხლით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილია 6 საარჩევნო ოლქი, აქედან, სამი მაჟორიტარული ოლქი N68, N69, და N70 შეიქმნა ცესკოს მიერ 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულებით, ხოლო სამი საარჩევნო ოლქი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 110^1 მუხლით. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს 2016 წლის მორიგი არჩევნებისათვის, უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არჩევნები ჩაატაროს, მხოლოდ ცესკოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ N68, N69 და N70 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. შესაბამისად, უსკომ თავისი უფლებამოსილბის ფარგლებში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულების თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა შექმნას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის სამი - N68, N69 და N70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ გოლიაძემ, გუგული დუაძემ, თორნიკე მჟავანაძემ, კახაბერ ჯაიანმა, მაკა ლომაძემ, რამაზ გოლომანიძემ, თამარ ხოზრევანიძემ და არჩილ მიქელაძემ.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, უსკო უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამართვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, შესაბამისად, მიაჩნია, რომ ბათუმის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები არ უნდა იყოს პრივილეგირებული აჭარის ტერიტორიაზე საარჩევნო კოდექსით შექმნილ დანარჩენ სამ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებთან მიმართებაში, უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატები მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქების საზღვრებში უნდა იყვნენ თანაბარ პირობებში. ასევე აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, უახლოეს დღეებში უმაღლეს საბჭოში იგეგმება სესია და შესაძლებელია სესიაზე გატანილ იქნას საარჩევნო ოლქების საკითხი და მოუწოდა კომისიას, დაელოდოს მის გადაწყვეტილებას და ამის შემდეგ მოხდეს უსკოს მიერ საარჩევნო ოლქების შექმნა.

გუგული დუაძემ აღნიშნა, რომ მას ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია უმაღლესი საბჭოს ერთერთ დეპუტატთან და მისთვის ცნობილია, რომ ეს საკითხი უახლოეს მომავალში არ განიხილება უმაღლეს საბჭოში, შესაბამისად, მიაჩნია, რომ კომისიის მიერ მიღებული უნდა იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ უსკომ არ უნდა მიიღოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, მანამ, ვიდრე უმაღლესი საბჭო არ შეიტანს შესაბამის ცვლილებას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, კანონში. ასევე აღნიშნა, რომ უმაღლეს საბჭოს წერილობით ეცნობოს „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ არსებულ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის ნორმებს შორის წინააღმდეგობის შესახებ, რათა მოხდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისობაში მოყვანა, „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებაში.

თორნიკე მჟავანაძემ აღნიშნა, რომ კომისიამ უნდა იმოქმედოს კანონის შესაბამისად და არსებული საარჩევნო კანომდებლობის ჩანაწერიდან გამომდინარე უნდა მიიღოს

ისეთი გადაწყვეტილება, რომ არ იქნას დარღვეული კანონი. მან აღნიშნა, რომ უსკო მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნას, უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის სამი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, ცესკოს მ/წ N161 განკარგულების შესაბამისად, ხოლო დანარჩენი სამი მაჟორიტარული ოლქის შექმნა მოხდეს, კანონში შესაბამის ცვლილების შემდეგ. ასევე აღნიშნა, რომ ბათუმის მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატებს არ უნდა შეეზღუდოთ უფლება დარეგისტრირდნენ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად ვინაიდან აღნიშნული ოლქების საზღვრები უკვე განსაზღვრულია.

თამარ ხოზრევანიძეს, რამაზ გოლომანიძეს და მაკა ლომაძეს მიაჩნიათ, რომ უსკო არ უნდა დაელოდოს უმაღლეს საბჭოს, თუ როდის შეიტანს ცვლილებას კანონში და არსებული საარჩევნო კანომდებლობის ჩანაწერიდან გამომდინარე უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომ არ იქნას დარღვეული, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონი.

რამაზ გოლომანიძე დაინტერესდა, თუ უმაღლესი საბჭოს მიერ არ მოხდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისობაში მოყვანა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებთან უსკო უფლებამოსილია თუ არა გადაწყვიტოს დარჩენილი საარჩევნო ოლქების შექმნის საკითხი.

არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ როგორც ჩვენთვის ცნობილია, უმაღლეს საბჭოში ინიცირებული იყო, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი, თუმცა აღნიშნული კანონპროექტის მიღება ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, არ ან ვერ მოხერხდა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უსკოს მიერ მ/წ 24 ივნისს უმაღლეს საბჭოს წერილობით ეცნო „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ არსებულ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ნორმებს შორის (მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი) წინააღმდეგობის შესახებ და ამ საკითხის გადასაჭრელად, „აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისობაში მოყვანა „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ განსახორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, თუმცა, უმაღლესი საბჭოდან უსკოს პასუხი დღემდე არ მიუღია. არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ კანონში არსებული ჩანაწერის (მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი) გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა (საარჩევნო კოდექსსა და ცესკოს მიერ მიღებულ განკარგულებასთან მიმართებაში) უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებაა და არა უსკოსი, ვინაიდან ის არის საკანონმდებლო ორგანო რომელიც ღებულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს. უმაღლესი საბჭო დღესაც არის სამუშაო რეჟიმში ღებულობს კანონებს, ასევე საარჩევნო პერიოდში ირჩევს უსკოს წევრებს, შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია განახორციელოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და მისი უფლებამოსილებაა, რომ განახორციელოს შესაბამისი ცვლილება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში. არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ თუ უმაღლესი საბჭო არ ან ვერ მიიღებს შესაბამის ცვლილებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ უფლებამოსილებაში შედის ხსენებული საკითხის გადაწყვეტა და შეუძლებელი გახდება საარჩევნო კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება, უსკო უფლებამოსილია იმსჯელოს და მიიღოს დადგენილება („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი) უსკოს კომპეტენციას მიკუთვნილ, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელ საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ უსკო წარმოდგენილი განკარგულების პროექტით მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას რისი უფლებამოსილებაც გააჩნია, მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად და მიაჩნია, რომ უსკომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა შექმნას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის სამი - N68, N69 და N70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულების თანახმად.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ განკარგულების პროექტი დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ორმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის სამი - N68, N69 და N70 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულების შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო ოლქების საზღვრები, ნომრები და სახელწოდებები განისაზღვროს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის N161 განკარგულების შესაბამისად.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N 30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის, მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის, მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატებისთვის, მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 8 ივნისის №235/2016 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის

მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარსადგენად საჭირო, შესაბამისი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელმოწერათა მინიმალური ოდენობა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

5. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ, განკარგულების პროექტი დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიის/ბლოკის, პარტიული სიის ფორმა (№4-07.01.01) თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე
(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **თამარა ხოზრევანიძე**